ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1926 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1988 ᲬᲔᲚᲘ ● № 43 (3071) СУББОТА, 22 ОКТЯБРЯ 1988 г.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

## ᲛᲙᲐᲤᲠᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲐᲕᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

**ᲤᲝᲗᲘᲡ** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პარტბიუროს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის რ. კუჭუხიძის საანგარიშო მოხსენება საკმაოდ კრიტიკული იყო...

პარტორგანიზაციაში 62 კომუნისტია. ეს საკმაოდ დიდი ძალაა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში და მართლაც, საანგარიშო პერიოდში, რომელიც სამ წელიწადს მოიცავს და განსაკუთრებით უკანასკნელ დროს იგრძნობა ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის ტენდენცია.

მომხსენებელი ეხება პარტიულორგანიზაციულ მუშაობას და აქ აშკარად გამოჩნდა, რომ კომუნისტები ყოველთვის არ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, ხოლო პარტბიუროს პოზიცია სუსტი იყო, იგი პრინციპულ მომთხოვნელობას ვერ იჩენდა. კომუნისტი ჩეკისტები აქტიური, ღირსეული და გამბედავი, ადამიანები უნდა იყვნენ. ის ფაქტი, რომ აქტიურ პარტიულ მუშაობაში კომუნისტთა მხოლოდ 79 პროცენტი მონაწილეობდა, ხოლო 14 კომუნისტს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო, ბევრისმეტყველია. პარტიულ კრებაზე 22 კომუნისტის ანგარიში მოისმინეს და 18 კომუნისტს მისცეს დახასიათება, მაგრამ როგორც მომხსენებელმა თქვა, მუშაობის ფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, არ იყო შექმნილი ისეთი ატმოსფერო, რომელშიც შეუძლებელი იქნებოდა დისციპლინის, კანონიერების დარღვევა. კომუნისტთა დახასიათებას აკლდა სიმწვავე და პრინციპულობა, ლოიალობის ვითარებაში კი სუსტდება კომუნისტის პასუხისმგებლობა, იქმნება პირობები სამემსრულებლო დისციპლინის დარღვევისათვის.

განყოფილების პარტბიუროს არასაკმარის პარტიულ-ორგანიზაციულ და აღმზრდელობით მუშაობას მკაცრი შეფასება მიეცა პარტიის საქალაქო კომიტეტის X და XI პლენუმზე. ცნობილია განყოფილებაში მომხდარი ფაქტი (რომლის შესახებ საუბარი გვქონდა „მებრძოლი გუშაგის" მ. წ. 13 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ ინტერვიუში პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან პ. ბერაიასთან — რედ.), რომლის გამოც პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განყოფილების პარტბიუროს მდივანს მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო და გაათავისუფლა იგი მდივნობიდან, ხოლო პარტბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა, სულ ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა კრებამ პარტბიუროს ანგარიში მოისმინა, მის მუშაობას დადებითი შეფასება მისცა. ასეთი პარადოქსები ხდება იქ, სადაც კომუნისტები ჯეროვან დასკვნებს ვერ აკეთებენ და კარგავენ სიფხიზლეს, ჩეკისტური შეუწყნარებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

1988 წლის 10 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი: „ქალაქ ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირად შემადგენლობაში სოციალისტური კანონიერების, დისციპლინისა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში განყოფილების ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ". ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შეფასება მკაცრი და პრინციპული იყო და საჭირო პრაქტიკული დასკვნების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

საანგარიშო მოხსენებაში კრიტიკულად შეფასდა პირველადი პარტორგანიზაციის პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის სხვა მიმართულებებიც: კადრებთან მუშაობა, კომკავშირული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა, კონტროლი განყოფილების სამსახურების საქმიანობისადმი. მაგრამ, ბუნებრივია, მოხსენებამ მთელი სისრულით ვერ გააშუქა პარტიული მუშაობის ყველა ასპექტი.

საფიქრებელი იყო, რომ კამათში მონაწილე კომუნისტები იტყოდნენ იმას, რაც მომხსენებელმა ვერ თქვა, იტყოდნენ თამამად და შეულამაზებლად. მაგრამ კამათი დუნედ დაიწყო და ალბათ ასე გაგრძელდებოდა, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს პ. ბერაიას, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილეს ლ. გორგოძეს და ფოთის შს რაიგანყოფილების უფროსს ზ. ტაბიძეს მწვავე და კრიტიკული შენიშვნები რომ არ მიეცათ მოკამათეებისათვის.

კომუნისტების გამოსვლებში იყო კრიტიკა, ისინი ლაპარაკობდნენ ხარვეზებზე, დაშვებულ შეცდომებზე, მაგრამ გამოსვლებს აკლდა სიმძაფრე, კონკრეტულობა, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის სულისკვეთება, არ იგრძნობოდა შეურიგებლობა ფორმალიზმისა და ინერტულობისადმი პარტბიუროს მუშაობაში. გაოცება გამოიწვია იმან, რომ ზოგიერთი კომუნისტი მოითხოვდა დამაკმაყოფილებლად შეეფასებინათ პარტბიუროს მუშაობა, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ არც ისე დიდი ხნის წინათ მკაცრი შეფასება მისცეს.

მკაცრი და უშეღავათო იყო შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის ზ. ტაბიძის სიტყვა.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ-ᲖᲔ.).

### ИНФОРМАЦИЯ

НЕДАВНО был принят Указ Президиума Верховного Совета СССР «Об обязанностях и правах внутренних войск Министерства внутренних дел СССР при охране общественного порядка». Этому событию посвящено опубликованное в газете «Правда» от 18 октября интервью с начальником внутренних войск МВД СССР генерал - полковником Ю. В. Шаталиным, которое представляет несомненный интерес для сотрудников органов внутренних дел республики.

## Навстречу 70 — летию ВЛКСМ





**ГОРЯЧАЯ** пора наступила для всех комсомольских организаций органов и подразделений внутренних дел республики. Только что завершились отчетно-выборные собрания в первичных организацнях, а впереди комсомольские конференции, подготовка к празднованию славного юбилея — 70-летия ВЛКСМ.

В преддверии юбилея состоялась комсомольская конференция УВД Тбилгорисполкома, прошедшая в конструктивной, деловой обстановке.

Активно готовятся ко встрече юбилея и комсомольцы Гагрского ГОВД, в том числе и член комитета комсомола отдела О. Хеция. Направленный на работу в органы внутренних дел Гагрским ГК ЛКСМ Грузии милиционер подразделения ППС сержант милиции О. Хеция уже более года добросовестно выполняет свои служебные обязанности, активно участвует в общественной и спортивной жизни отдела. По итогам социалистического соревнования за III квартал нынешнего года он признан лучшим милиционером подразделения. А недавно в честь 70-летия службы уголовного розыска, за высокие показатели в борьбе с преступностью, руководство отдела поощрило его денежной премией.

* * *

**НА СНИМКАХ:** группа делегатов пятой комсомольской конференции УВД Тбилгорисполкома; милиционер подразделения ППС Гагрского ГОВД сержант милиции О. Хеция изучает материалы XIX Всесоюзной партконференции.

## „ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲪ" ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲪ

**ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ საზოგადოების გაოცება და აღშფოთება გამოიწვია 14 ოქტომბერს საკავშირო ტელევიზიით პროგრამა „თვალსაზრისის" ერთერთმა სიუჟეტმა. აღნიშნულ სიუჟეტში კრიტიკა იყო გამოთქმული ბათუმის შს საქალაქო განყოფილების მისამართითაც — გადაცემის „გმირის" პასპორტის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულის თაობაზე ჩვენ დავუკავშირდით ბათუმს და ჩვენს კოლეგებს ვთხოვეთ განემარტათ საქმის ფაქტიური ვითარება:**

14 **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** საკავშირო ტელევიზიის პროგრამა „თვალსაზრისში" ნაჩვენები იქნა სიუჟეტი, რომელიც ბათუმელ ლევან სულაბერიძესა და მოსკოველ ელენა კარაულოვას „ტრაგიკული სიყვარულს" შეეხებოდა, ხოლო ამ სიყვარულის „კომენტარმა", რომელიც პოლიტიკურმა მიმომხილველმა ვ. ცვეტოვმა გააკეთა ქ. ბათუმის საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. 18 ოქტომბერს აღნიშნული ფაქტის ირგვლივ გადაცემა მოაწყო აჭარის ტელევიზიამ.

„თვალსაზრისში" მოთხრობილ სიუჟეტში ფაქტები დამახინჯებული იყო. ფაქტიურად ადგილი ჰქონდა შემდეგს:

მიმდინარე წლის ივნისის თვეში ქ. ბათუმის შს განყოფილების უფროსთან კაბინეტში მოვიდა შავებში ჩაცმული თმაჭაღარა ქალი, რომელმაც განუმარტა, რომ ჰყავს 23 წლის შვილი ლევან სულაბერიძე, რომელიც დაუახლოვდა გარყვნილი ქმედების ქალს, ელენა კარაულოვას. ე. კარაულოვა მასზე არის 15 წლით უფროსი, ჰყავს 11 წლის შვილი. მოქალაქემ ითხოვა, რომ გაეწიათ მისთვის დახმარება — ჩამოეშორებინათ მისი შვილი გარყვნილი ქმედების ქალისაგან და მან მილიციის უფროსს ამხ. ვ. ჯანელიძეს მაგიდაზე დაუწყო ე. კარაულოვას გარყვნილების დამადასტურებელი პორნოგრაფიული სურათები.

ლ. სულაბერიძე მოითხოვდა პასპორტის დაბრუნებას, რომელიც ჰქონდა მის დედას, ლეილა ლექავას, რაზედაც დედის მხრიდან მიიღო სასტიკი უარი. საკითხის დადებითად გადაწყვეტა არ მოხერხდა. რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის უფროსთან მოვიდა ე. კარაულოვა და განმარტა, რომ ნათესავებიდან ლევანი არ დაბრუნებულა და ითხოვდა დახმარებას ბილეთის აღებაში. ე. კარაულოვამ წასვლის წინ უთხრა მილიციის უფროსს, რომ „სიყვარული" გაიმარჯვებდა. დაახლოებით ერთი თვის წინ ე. კარაულოვამ დაურეკა მილიციის უფროსს კაბინეტში და უთხრა, რომ „სიყვარულმა" გაიმარჯვა და ლევანი მის გვერდით იყო.

30 სექტემბერს მოქალაქე ლ. სულაბერიძეს მოსკოვში გაეგზავნა ახალი პასპორტი.

**Თ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**
**ქ. ბათუმის შს განყოფილების პოლიტნაწილის უფროსი, მილიციის მაიორი.**

მოწინავე გამოცდილება

# ერთობლივი ძალისხმევით, მომავალზე ფიქრით

## ანუ პროფილაქტიკური მუშაობის კიდევ ერთი მიმართულების შესახებ

**მიმდინარე წლის 8 თვეში რესპუბლიკაში მოხდა 1414 საგზაო — სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა შედეგად გარდაიცვალა 399 და დაშავდა 1.648 ადამიანი, მათგან (შესაბამისად) 21 და 95 ბავშვი. ქვეითად მოსიარულეთა მიზეზით მოხდა 140 შემთხვევა, რომელთა დროს გარდაიცვალა 29 და დაშავდა 123 ადამიანი. 21 ერთეულით იმატა გარდაცვლილთა რიცხვმა.**

**სტატისტიკა** გვიჩვენებს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა 10 პროცენტი ფეხით მოსიარულეთა მიზეზით ხდება, საკმაო ბავშვთა ტრავმატიზმიც, ამიტომ ცხადი ხდება, რომ გზებსა და გზაჯვარედინებზე მოძრაობის წესების სათანადოდ შესწავლას სკოლის ასაკიდანვე სერიოზული ყურადღება უნდა ექცეოდეს.

ამ მხრივ, ისევე როგორც თბილისის, რუსთავის, ზუგდიდის, წალენჯიხის და ზოგიერთ სხვა ქალაქების სკოლებში (მათი რიცხვი სამწუხაროდ ძალზე მცირეა), მიზანმიმართულ მუშაობას ეწევა მცხეთის № 1 საშუალო სკოლის პედაგოგი მ. სახვაძე, რომელსაც აქტიურ დახმარებას უწევენ ადგილობრივი სახავტოინსპექციის ქვედანაყოფილების (უფროსი — მილიციის უფროსი ლეიტენანტი ი. შარაშენიძე). ასეთი თანამშრომლობის შედეგია ის, რომ მოსწავლეები სრულყოფილად ფლობენ მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, საგზაო ნიშნებს და შემთხვევითი არ არის ის, რომ რამდენიმე დღის წინ სწორედ ამ სკოლაში ჩატარდა „ნორჩი ინსპექტორის" სატელევიზიო გაკვეთილი — „წესრიგი ყველგან და ყველაფერში". გაკვეთილის ჩატარებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ შს სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები გ. აბულაძე და ი. ლომსაძე. ნორჩმა ინსპექტორებმა თეორიულად და პრაქტიკულად წარმოსახეს მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის შესაძლო და პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული მაგალითები. ვიდეო ფირზე ჩაწერილ აღნიშნულ ღია გაკვეთილს ამ დღეებში იხილავს ჩვენი რესპუბლიკის ტელემაყურებელი.

სკოლაში მოძრაობის უსაფრთხოების სწავლების დიდი მნიშვნელობა უფრო თვალნათლივ წარმოჩინდება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ახლო მომავალში ამ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ფეხით მოსიარულეთა კატეგორიიდან, საჭესთან მჯდომ პროფესიონალ თუ მოყვარულ მძღოლთა კატეგორიაში გადაინაცვლებს და სკოლის მერხიდან შეძენილი მოძრაობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვის კულტურაც (რომელიც რა დასამალია და დღეს ჯერ კიდევ ესოდენ დაბალ დონეზე დგას ჩვენს რესპუბლიკაში) თან გაჰყვებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ცხადია, რომ სკოლებში გაწეული ამგვარი მუშაობა სათანადო დადებით შედეგს გამოიღებს.

ყოველივე ამის, ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობის და ცხოვრების რიტმის გათვალისწინებით, აუცილებელ სადღეისო მოთხოვნად მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის სხვა სკოლებშიც, სახელმწიფო ავტოინსპექციის ადგილობრივ დანაყოფებთან ერთად მჭიდრო კონტაქტში, ამ მიმართულებითაც გაიშალოს აქტიური მუშაობა. მოძრაობის წესების საფუძვლიანად სწავლება, მათი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის ჩვევად ჩანერგვა და ამით რესპუბლიკის გზებზე სავალალო შემთხვევათა თავიდან აცილება, მათი ადრეული პროფილაქტიკა, ჩვენი საერთო — სისხლხორცეული საქმეა.

ქ. ანდრიაძე.




**ბათუმი** — სამტრედია, ვანი-მახარაძე. სწორედ ამ გადაკვეთასთან არის განლაგებული სამტრედიის მოტომექანიზებული ქვედანაყოფის ერთ-ერთი საგუშაგო „დაფნარი". ამ ბოლო პერიოდში მათ სამოქმედო უბანზე შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები.

საგუშაგოების მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, შემოდგომაზე, ჭირნახულის გადაზიდვა-დაბინავების პერიოდში.

**სურათზე: უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, თ. თავდიშვილი და ავტოინსპექტორი, მილიციელი მ. ადეიშვილი.**

**გ. მგალობლიშვილის ფოტო.**

# ТОЛЬКО ФАКТЫ

**● 29 сентября сотрудниками УБХСС МВД ГССР уличены неработающие А. Ч. и Т. Д., которые от неустановленного лица закупили 240 банок индийского кофе по 6 руб. за банку и 1.200 штук сигарет «Заря» по 70 коп. за пачку и перепродавали около Дигомского массива на Военно - Грузинской дороге — кофе по 7 руб. 50 коп. за банку и сигареты по 1 руб. за пачку.**

**● 4 октября в с. Мачара сотрудниками Гульрипшского РОВД у себя дома задержан в состоянии наркотического опьянения водитель Бабушарского завода «Пепси Кола» К. К., у которого в доме изъяты 361 г кокнара и 1 г марихуаны.**

**● 5 октября сотрудниками Кварельского РОВД во время обхода на берегу реки Алазани задержана автомашина «ВАЗ-21011», управляемая В. Ч., рабочим Телавского хлебоприемного пункта с пассажиром З. Х., рабочим Гремского совхоза. В указанной автомашине были обнаружены и изъяты 7 амоналовых шашек, 5 капсюл-детонаторов и рыболовная сеть.**

**● 5 октября сотрудниками ЛОВД ст. Самтредиа в поезде Киев — Тбилиси задержан Г. И., который у пассажира В. Л., жителя г. Новгород-Волынского Житомирской области совершил кражу сумки с носильными вещами, документами и 300 рублями.**

# მკაცრი კრიტიკისა და შემღავათობის პირობებში

(დასასრული).

როგორც მან თქვა, პარტბიუროს განყოფილების ხელმძღვანელობის მუშაობის ყველაზე სერიოზული ხარვეზი ის არის, რომ ვერ შეძლეს შეექმნათ მკაცრად შეკრული, მებრძოლი კოლექტივი. ზ. ტაბიძემ პარტბიურო გააკრიტიკა აგრეთვე იმისათვის, რომ ბიუროს სხდომები და პარტიული კრებები ტარდება „ტრადიციული" სიმშვიდით, მიღებული დადგენილებები კი არ გამოირჩეოდა საბრძოლო ხასიათით, არავინ არ აკონტროლებდა დადგენილებათა შესრულებას.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ბერაია, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის 10 მაისის დადგენილების პოზიციიდან შეაფასა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პარტიული ორგანიზაციის, მისი პარტბიუროს მუშაობა, ილაპარაკა იმ აქტუალურ ამოცანებზე, რომლებიც გარდაქმნის ამ ეტაპზე დგას სამართალდამცველი ორგანოების წინაშე.

კრებამ პარტბიუროს მუშაობა საანგარიშო პერიოდში შეაფასა არადამაკმაყოფილებლად. მიიღო დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და პრაქტიკული წინადადებანი.

ჩატარდა არჩევნები. დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩეულ იქნა პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და 47-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

გაიმართა ახალარჩეული პარტბიუროს სხდომა, რომელმაც პარტბიუროს მდივნად აირჩია რ. კუჭუხიძე.

ი. ხვანიძე.

ПОД ОСТРЫМ УГЛОМ

# Иск бесхозяйственности

ПРЕОБРАЗОВАНИЯ в сфере экономики и производственных отношений являются одними из важнейших факторов развернувшегося в стране процесса перестройки. Не стоят в стороне от этих глобальных процессов и коллективы учреждений УИТУ МВД ГССР, в которых также ведется работа по повышению эффективности производства, переходу на новые методы хозяйствования. Но на пути позитивных перемен зачастую встают препятствия, воздвигнутые элементарной бесхозяйственностью, последствия которой, как правило, бывают весьма плачевными. Эту простую истину еще раз наглядно подтвердила проверка, проведенная недавно Комитетом народного контроля республики в ряде учреждений управления.

Серьезные недостатки были выявлены проверкой в учреждении, где начальником капитан внутренней службы А. Бердзенишвили. План поставок продукции по договорам учреждением в прошлом году был выполнен только на 81,3 процента, в результате чего потребителям — колхозам и совхозам республики — не было допоставлено большое количество так необходимых им железобетонных столбиков для виноградных шпалер, а также 2.286 м³ стеновых блоков.

Эти тревожные цифры должны были, казалось бы, мобилизовать руководство, весь коллектив на скорейшее выправление создавшегося положения. Одна ко положительных сдвигов не произошло, а производственные показатели в нынешнем году еще более ухудшились.

Сохраняется и тенденция к постоянному ухудшению качества выпускаемой продукции, что стало результатом грубых нарушений производственно - технических процессов, отсутствия должного технического контроля. В прошлом году было забраковано более 40 тысяч изготовленных в учреждении железобетонных столбиков на сумму почти 65 тысяч рублей. И в нынешнем году, только в ходе проверки КНК ГССР, из-за большого количества выявленных дефектов, были забракованы 9 тысяч столбиков и 9.510 шт. стеновых блоков.

О создавшемся тяжелом положении, явившемся результатом царящей в учреждении обстановки бесхозяйственности, фактах нарушений договорных обязательств по поставкам свидетельствуют и многочисленные претензионные письма, поступающие от организаций - покупателей. В 1987 году их было 29, за восемь месяцев нынешнего года — уже 48, по которым уплачено штрафов на более чем 80 тысяч рублей.

Не менее сложное положение создалось и в учреждении, где начальником подполковник внутренней службы Ф. Дзимистарашвили. Невысокие и в прошлом году показатели учреждения по выпуску столбиков и пластмассовых изделий в нынешнем еще более снизились. За восемь месяцев только на 86,4 процента выполнен план выпуска горнообогатительного оборудования, на 65,4 процента — план по пластмассовым изделиям, на 74,2 процента — по электроустановочным изделиям, вследствие чего потребителями недополучено продукции на сумму 745,7 тыс. рублей. В ходе проверки из-за наличия дефектов было забраковано 120 столбиков, 10 металлических шкафов, 600 контейнеров для яиц, всего же из-за нарушений технологии производства и выпуска бракованной продукции учреждением было уплачено штрафов на сумму 49 тысяч рублей.

Однако и этим не исчерпываются все недоработки, в учреждении имеются серьезные упущения и в организации поставок, которые срываются из-за бесконтрольности и. о. директора предприятия майора внутренней службы К. Гварамадзе за сбытом продукции. При наличии на складе готовой продукции в прошлом году потребителям было недопоставлено 147 ед. питателей, 528 шкафов, 18,2 тыс. метров изделий из гофрокартона. Непринятием своевременных мер по обеспечению производства необходимой тарой в первом полугодии 1988 г. были сорваны поставки некоторых изделий и в зарубежные страны, в том числе не было отгружено несколько питателей различных марок в КНДР и СРВ.

Следует также отметить, что в учреждении на 1 июля т. г. скопилось большое количество сверхнормативных остатков сырья, материалов, готовой продукции на сумму 837 тыс. рублей. При этом грубо нарушается порядок ее складирования, хранения и транспортировки, что приводит к убыткам в значительных размерах.

В обоих учреждениях по вине работников бухгалтерии не принимаются меры к возмещению ущерба от уплаты штрафных санкций.

Как было отмечено КНК республики, наличие недостатков в деятельности проверенных учреждений, наряду с безответственным выполнением своих обязанностей их руководителями, обусловлено также и тем, что соответствующие службы и руководство УИТУ МВД ГССР (начальник—полковник Г. Ходжава, заместитель начальника по производству майор внутренней службы М. Ломтадзе) не принимают радикальных мер по наведению в подведомственных учреждениях государственного порядка.

В настоящее время по результатам проверки, за систематические нарушения договорной дисциплины и выпуск бракованной продукции, строгие выговоры объявлены директору предприятия капитану внутренней службы О. Берошвили и и. о. директора майору внутренней службы К. Гварамадзе, выговоры объявлены также главным бухгалтерам Э. Хирдаевой и В Пральниковой. В отношении начальников учреждений, недавно назначенных на занимаемые должности, административные меры было решено не применять.

Конечно, наказания суровые, но, надо прямо сказать, справедливые. Ведь время не ждет, оно требует немедленной активизации усилий всех работников УИТУ МВД ГССР для успешного решения стоящих перед управлением задач.

**А. ЛЬВОВ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობდეთ, მოწინავე მუშაკია

# ხერხი სჯობია...

**ავტომანქანა**, რომელშიც რამდენიმე მამაკაცი იხსდა ქ. წულუკიძის ერთ-ერთ ქუჩაზე გაჩერდა, ერთი მათგანი გადმოვიდა და იქვე მდებარე საცხოვრებელ სახლში გაუჩინარდა, ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა და ავტომანქანაში ჩაჯდა. ავტომანქანა დაიძრა, თანამგზავრები და უკან დაბრუნებული მგზავრი წულუკიძის შს რაიგანყოფილებას მიადგნენ. ყველაფერი ხმაურის გარეშე მოხდა, ხერხმა გასჭრა...

ჩემს წინ ეშმაკურად თვალებმოციმციმე ახალგაზრდა კაცი, წულუკიძის შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ვ. კაკაბაძე ზის და ღიმილმორეული მიყვება ამ ეპიზოდს: ოპერატიული ჯგუფი შემოვლაზე ვიყავით, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის პატრონის საეჭვო საქმიანობებზე სიგნალი მიღებული გვქონდა, შევამჩნიეთ როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდებით დატვირთული მანქანა ამ სახლს, ვიდრე ერთმა პატრონისგან ნარკოტიკები შეიძინა, მეგობრები „შევუცვალეთ". ავტომანქანაში ისე ჩაჯდა, ეჭვიც არ შეპარვია იქ მეგობრები რომ დახვდებოდნენ. ასეთი ეპიზოდები კი იშვიათი არაა მილიციის კაპიტნის ცხოვრებაში, ამაში თვად დარწმუნდებით, თუ მოუსმენთ... შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეს პოლიტდარგში, მილიციის კაპიტან გ. რუხაძეს, რადგან მის კოლეგას თავის თავზე საუბარი არ უყვარს და ზემოთმოყვანილი ფაქტიც „უფროსის" თხოვნით მიამბო. მიამბო ისიც, თუ როგორ აღმოჩნდა დამნაშავეების მიერ დაქირავებული მძღოლის როლში. შემდეგ კი ავტობიოგრაფიის მშრალი სტრიქონებიც „მოვიპოვე":

ვ. კაკაბაძე 1950 წელს დაიბადა. სკოლა წულუკიძეში დაამთავრა. სწავლობდა წულუკიძის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმში. 1972 წლიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, შს ორგანოების რიგებშია. ჯერ არასაუწყებო დაცვის რიგითი მილიციელია, მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კი უბნის ინსპექტორად ნიშნავენ. 1985 წლიდან სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებაშია. მილიციის კაპიტანს ოცამდე მადლობა აქვს კარგი მუშაობისათვის მიღებული.

— ყველაზე მეტად საზოგადოების ხორცმეტები მძულს. ბავშვობიდანვე, როდესაც ხელმრუდს ვამჩნევდი, ერთი სურვილი ამეკვიატა, დიდი რომ ვიქნები აუცილებლად მათი მტერი გავხდები-მეთქი. სიყვარულით კი ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები, ჩემი კუთხე ყველაზე მეტად მიყვარს — ეღიმება მას, — ჩამობრძანდით და გაგაცნობთ ჩემს ოჯახსა და კუთხეს, მეგობრებს და ვგებულობ, რომ მისი საუკეთესო მეგობარი, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ზაურ უგრეხელიძეა, რომ ორივეს სამ-სამი შვილი ჰყავს, აქედან ორ-ორი ვაჟი და... ვლადიმერის უფროს ვაჟს, მამის კვალზე გაყოლა რომ არ სურს, — ინჟინრობა ირჩია.

ისე, (ხუმრობა თავის ადგილზე რომ იყოს) თუ მამის სურვილია, შვილზე ზემოქმედებაც შეიძლება, ოღონდ ძალდაუტანებლად, ხერხი რომ ღონეს სჯობია ვლადიმერმა კარგად იცის.

**ვ. ნადირაძე.**



# НА НЕЛЕГКОЙ ВАХТЕ



**В АПРЕЛЕ** нынешнего года, в дни празднования 70-летия создания советской пожарной охраны многим сотрудникам подразделений Тбилисского гарнизона были вручены нагрудные знаки «Лучший работник пожарной охраны».

Среди награжденных, тех, кто добросовестно и бдительно несет свою нелегкую вахту по охране народного добра и жизни людей от пожаров, был сотрудник ОПО УВД Тбилгорисполкома, старший лейтенант внутренней службы Тамаз Гурамович Игнатьев.

Решение посвятить свою жизнь этому важному и нужному делу, пойти по стопам отца — профессионального пожарного с более чем двадцатилетним трудовым стажем, работающего ныне начальником политчасти пожарного подразделения города Рустави, созрело у Т. Игнатьева еще в детстве.

Окончив среднюю школу и техническое училище, поработав некоторое время электросварщиком на Руставском металлургическом заводе, Т. Игнатьев в 1981 году поступил в Харьковское пожарно-техническое училище МВД СССР. Учился хорошо, прочно овладел профессиональными навыками и по окончании училища был направлен для дальнейшего прохождения службы в пожарное подразделение по охране завода им. Димитрова.

Целеустремленность и требовательность в работе у комсомольца Тамаза Игнатьева сочетаются с личной скромностью, готовностью в любую минуту прийти на помощь товарищу по работе. Недаром начальник подразделения, где ранее служил Т. Игнатьев, майор внутренней службы Г. Чедия, тепло отзывается о своем бывшем инспекторе профилактики, характеризует его как исключительно честного, работоспособного и принципиального офицера. Столь же положительную оценку работы Т. Игнатьева на новом месте службы дал и заместитель начальника ОПО УВД Тбилгорисполкома подполковник внутренней службы Д. Ямандзе.

Сейчас Т. Игнатьев является слушателем Московской высшей инженерно-пожарной технической школы МВД СССР. Хочется пожелать ему успешного окончания этого высшего учебного заведения, дальнейших успехов в выполнении своего служебного и гражданского долга.

**А. МАЛАЯНЦ.**

სწრაფად, ოპერატიულად

# ყაჩაღური თავდასხმა



**მიმდინარე** წლის ივლისის თვეში, ღამის 4 საათზე შს ხობის რაიგანყოფილებაში ტელეფონი აწკრიალდა. ვიღაცის მღელვარე ხმა იტყობინებოდა, რომ რაიონის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის ტერიტორიაზე პიროტყვის მომვლელებზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა.

სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი მ. გურგაია, მისი მოადგილე ოპერატიულ დარგში, კაპიტანი ა. ბუკია, რაიონის პროკურორი კ. სამუშია, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, კაპიტანი ი. გუნიავა, ოპერრწმუნებული კაპიტანი ა. სერგია, გამომძიებელი, უფროსი ლეიტენანტი ნ. ალანია და სამტრედიის შს რაიგანყოფილების კინოლოგ-ინსპექტორი მ. კაკაბაძე.

ჯგუფის ოპერატიულმა მოქმედებამ და გამოძიების სწორად წარმართვამ ნათელი მოჰფინა საქმის ვითარებას:

ღამის სამ საათზე მომვლელების ბინის კარებს დაუდგენელმა პირებმა მიუბრახუნეს. მომვლელებს ბ. დარსალიას და ბ. კარტოზიას კარი რომ გაეღოთ დარსალიას გარედან შესძახეს, რომ ვითომ და მის შვილიშვილს შეემთხვა ავტოავარია და მას სასწრაფოდ იხმობდნენ. ამ ამბის გაგებაზე კარტოზიამ კარები გააღო. გაღებისთანავე ბოროტმოქმედები შეცვივდნენ ოთახში და იქ მყოფ მოხუცებს სახეზე „დიხლოფოსი" შეასხეს, შეკრეს ისინი თოკით და ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. გადაქექეს იქაურობა, გაიტაცეს 2000 მანეთი. თან გაიყოლიეს რამდენიმე მსხვილფეხა საქონელი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

იმავე ღამით გატარებულ ოპერატიულ ღონისძიებათა შედეგად ბოროტმოქმედთა ვინაობა დადგენილი იქნა. ბანდიტები აღმოჩნდნენ: ცხაკაიას რ-ნის ხოფელ ახალისოფლის მკვიდრნი ე. ასართია და ა. კუჭავა.

ბოროტმოქმედებმა დანაშაული აღიარეს, მოკლე დროში ისინი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

**გ. მგალობლიშვილი.**

* * *

**სურათზე:** განყოფილების უფროსი მ. გურგაია, უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში ა. ვარდია, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული ი. გუნიავა, ოპერრწმუნებული ა. სერგია, განყოფილების გამომძიებელი კაპიტანი ნ. ალანია.

**ავტორის ფოტო.**

БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# НЕУДАВШИЙСЯ МАСКАРАД

**В ТУ ТИХУЮ** летнюю ночь директору комбината чайных концентратов и безалкогольных напитков М. Мамешвили не спалось. Не давала уснуть стоящая в Махарадзе, вообще-то привычная для этого времени года, жара. В одно из мгновений его внимание привлек едва слышный за стеной шум. М. Мамешвили встал, вышел в коридор и тут буквально наткнулся на четверых незнакомых людей, лица которых скрывали самодельные маски.

Маскарады, конечно, бывают разные, и все это можно было принять за веселый розыгрыш, но действия незнакомцев не оставляли места для иллюзий. «Тише, не поднимай шум», — угрожающе приказали они хозяину дома. Угроза была вполне реальной, тем более, что неизвестные были вооружены отнюдь не бутафорскими пистолетами и ножами.

Однако хозяин дома оказался не робкого десятка. Не вняв угрожающему тону и поведению незваных гостей, он оказал им сопротивление. В результате разыгравшейся тут же в коридоре неравной схватки, М. Мамешвили получил ранение ножом в область живота и был оглушен ударом рукоятки пистолета по голове. Шум борьбы привлек внимание его жены, которая, появившись в эту минуту в коридоре и увидев раненого мужа, подняла крик, заставив нападавших спешно ретироваться. Мамешвили не доставили в больницу, где ему была оказана медицинская помощь.

С учетом особой опасности преступной группы и возможности совершения ею новых разбойных нападений, была создана оперативная группа под руководством заместителя начальника Управления уголовного розыска министерства полковника милиции Г. Ломинадзе, в состав которой вошли также начальник отдела УУР МВД ГССР полковник милиции У. Айвазов и оперуполномоченный управления майор милиции М. Джапаридзе. К поиску преступников подключились почти все ГОРОВД западной части Грузии, в частности, большую роль сыграл в этом начальник ОУР Зестафонского РОВД майор милиции Т. Нозадзе. Во многом благодаря его умелым и инициативным действиям, хорошему знанию оперативной обстановки в регионе, удалось установить личности нападавших. А сделать это было нелегко.

Преступники, действовавшие в перчатках, не оставили на месте происшествия практически никаких следов. В распоряжении сотрудников уголовного розыска были только весьма приблизительные описания внешности нападавших, но и этих данных вполне хватило для их установления. После десяти дней напряженной работы, благодаря правильному планированию и умелой реализации оперативно - розыскных мероприятий, преступники были установлены и задержаны. Причем, операция по их задержанию была проведена настолько четко и неожиданно, что ни один из преступников не успел даже оказать сопротивление.

У преступников, ранее неоднократно судимых за различные правонарушения, были изъяты маски, холодное и огнестрельное оружие. В ходе следствия выяснилось также, что ими в феврале нынешнего года было совершено в Зестафони еще одно разбойное нападение.

Ведущееся сейчас следствие должно в ближайшее время выяснить все подробности, в том числе, как возник замысел преступного маскарада, где злоумышленники добыли оружие и другие детали. Мы же отметим оперативность и четкость действий сотрудников уголовного розыска, в короткий срок обезвредивших опасную группу, не давших свершиться новым преступлениям.

**А. ЦАТУРОВ.**



**НА СНИМКЕ:** изъятое у преступников оружие.



# „შუამთობა" ღრეობა არ არის

ბევრი ისტორიული მნიშვნელობის დღესასწაული შემოუნახავს ქართველ ხალხს და ხათუთად დღემდე მოუტანია. ეროვნული სული და კულტურის ისტორიული მატიანეა ყოველი მათგანი.

ჩვენს დროში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უდიდეს ეროვნულ-აღმზრდელობით და კულტურულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სახალხო დღესასწაულებს, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, მეორედ დაბადება განიცადეს.

სამწუხაროდ, ასეც ხდება: ტრადიცია მახინჯ ფორმას იღებს და დღეობა ღრეობად ქცეულა. რაც იმის შედეგია, რომ რიგ შემთხვევაში მოიკოჭლებს ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებული პროფილაქტიკური მუშაობა და ზეგავლენა ასეთი „დღეობების" მონაწილეთა მიმართ. სათანადო ყურადღება არ ექცევა ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობასაც. სწორედ ეს მიზეზი გახდა საწყისი იმ ამბისა, რომელზეც ეს წერილი მოგვითხრობს და რომელიც სამწუხაროდ გამონაკლისს არ წარმოადგენს:

ჯერ იყო და „უბრალოდ" წაღაპარაკდნენ დანისპირაულელები თ. მიქელაძე, ნ. პაპიძე, ჯ. კახიძე (ერთის მხრიდან) და რიყეთელები თ. შანთაძე, ნ. ხოზრევანიძე, ბოძაურელი მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ზ. შავაძე (მეორეს მხრიდან) ისე „უბრალოდ", რომ საქმე ვერ გაარჩიეს, უკანასკნელი სამი „რაინდი", ათიოდე ახალგაზრდის თანხლებით ეზოში მიუვარდა პირველებს და ჩხუბი აუტეხა, რომლის შედეგადაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიიღო გასაშველებლად მისულმა მოხუცმა ქალმა ი. მიქელაძემ.

სხვა ფაქტის მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი და სამწუხარო ფაქტების კონსტატაცია კი არა, ასეთი სახალხო ზეიმების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უგულებელყოფაა უწინარესად ადგილობრივი საბჭოების, სახალხო რაზმელებისა და საზკვების რაიონული გაერთიანებისაგან. თუ კი პირველმა ორმა უსიამოვნო ინციდენტებს თავიანთი პასიურობით შეუწყო ხელი, მესამემ კონტროლი არ დააწესა სპირტიანი სასმელების გაყიდვაზე და ყველა საზრუნავი შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს შეატოვეს.

სწორედ ხიხაძირის სასურსათო მაღაზიის მიერ უხვად გაყიდული სასმელი გახდა ძირითადი მიზეზი მთებში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პიროვნების შეურაცხყოფისა.. ასევე უმართებულოდ გასცა (გაფრთხილების მიუხედავად) სპირტიანი სასმელები „სათოვლიაწყალის" ბუფეტმაც... დარღვევებს ადგილი ჰქონდა დიდაჭარის მთებშიც.

„შუამთობა" სახალხო ზეიმია — ზეიმი და ღრეობა კი უნდა გავარჩიოთ.

სწორედ ამიტომ, მომავალში მსგავსი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, ადგილობრივ შს ორგანოებს მეტი ყურადღება და მომთხოვნელობა მართებთ სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე ორგანიზაციათა მიმართ.

# ორმხრივ სასარგებლო

1988 წლის 26 სექტემბერს ზესტაფონის შს რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის შემდგომ მუშაობაში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებისათვის მოეწყო შს რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობის შეხვედრა რაიონის მოწინავე ადამიანებთან.

შეხვედრა გახსნა შს რაიგანყოფილების უფროსმა რ. კობახიძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რაოდენ სასარგებლოა ასეთი შეხვედრები საქმიანობის სწორი წარმართვისათვის.

მოწვეულთა მხრიდან სიტყვით გამოვიდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მუშა, XIX საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატი ვ. არაბიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ რაიონში იგრძნობა საზოგადოებრივი წესრიგისთვის ბრძოლის გაუმჯობესება, რომ არის ნაკლოვანებებიც, რაც გადაუდებელ გამოსწორებას მოითხოვს. ისაუბრა XIX საკავშირო პარტკონფერენციაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

მ. ფერაძემ, რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტმა აღნიშნა: გარდაქმნა პირველ რიგში უნდა დავიწყოთ სკოლიდან. მე გულისტკივილით მინდა გითხრათ, რომ თქვენი უმრავლესობა ჩვენი მოსწავლეების მშობლები ხართ და სკოლაში კი იშვიათად მოდიხართ. რაც შეეხება მილიციის თანამშრომლის ცოდნის დონეს, ვინც ჩვენი რაიონის სიმშვიდისათვის და კეთილდღეობისათვის იბრძვის პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს განათლებული.

ნაკლოვანებები ყველას გვაქვს და ვეცადოთ ყველა, რომ ჩვენ ჩვენი ნაკლოვანებები გამოვასწოროთ — ითქვა შეხვედრაზე.



# შრომას, დასვენებას...



„სამეხბურთო ცეკვა" ხაშურის შს განყოფილების თანამშრომელთა შესრულებით" — ასე უწოდა თავის ფოტოს, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ო. მირზაშვილმა.

●

არნახულად გაიზარდა ისედაც დიდი ინტერესი დავით-გარეჯის ისტორიული ძეგლისადმი.

ეს ფოტო დავით-გარეჯის კომპლექსში ექსკურსიის დროს გადაიღეს ხაშურის შს. რაიგანყოფილების თანამშრომლებმა.

ЗАПИСКИ КРИМИНАЛИСТА



# ПАУТИНА

(ОКОНЧАНИЕ).

— **НЕТ,** мы с ним познакомились в поезде, в Хашури вошел.

— Его фамилия?

— Фамилию не знаю, а звали его Анатолием Михайловичем.

— Почему они не доехали до Батуми?

— Как вам сказать, молодые, кровь кипит. Прогуляемся, так сказали.

Больше ничего от Этери не могли добиться. Она повторяла одно и то же.

Для военнослужащих, отправляющихся в командировки, имеется отдельная касса. В регистрационном журнале производятся специальные отметки.

Предположение Бакрадзе оправдалось. В тот день со станции Хашури поездом Тбилиси — Батуми отправились два военнослужащих. Инициалы одного из них были «А. М.» — Анатолий Михайлович, фамилия Наумов.

Данные о Наумове совпали с описанием свидетелей. В этом не было никакой ошибки. Но арестовать его было не так-то просто. Убийца мог оказать сопротивление.

Возник вопрос — есть ли у него с кем-либо связь?

Это Шецирули установил быстро.

К нему в руки попало письмо, адресованное в Гори, некой Лии Далакишвили.

« Дорогая Лия. Последнее время начались головные боли. Опасаюсь врачей. Другого пути нет, я должен быть осторожен, а то, если я попаду в их руки, сама знаешь, так же будут мучить, как моего любимого брата. Я рад, что мою бандероль ты получила в целости. Пока не спеши передавать «тете», успеешь, лучше одолжи кому-нибудь. Маленькая ручная мельница — подарок тебе лично. Береги как зеницу ока. Целую крепко. До свидания. Твой Анатолий».

— Что скажешь, а?

— Маленькая ручная мельница, должно быть, часы. Другого и быть не может. Письмо написано на воровском жаргоне. Необходимо связаться с Гори.

Анатолий Наумов с подозрением отнесся к новой командировке. Но другого выхода не было. В тот же день он отправился в Батуми. Не обратил внимания на сидевшего напротив попутчика. Пытался заснуть, но безрезультатно, сон не брал его.

Вначале Шецирули молча разглядывал его, а затем, предложив папиросу, спросил:

— В Батуми?

— Скажем, так. А вы?

— Я тоже.

— Демобилизованный?

— До этого еще далеко. Когда исполнится 50 лет, тогда.

— А, значит служите сверхсрочно? Довольны?

— Ничего. Разве может человек, работающий в хозчасти, чувствовать себя плохо? — сказал он и многозначительно улыбнулся.

Шецирули посмотрел в окно. Рассвело. Он поднялся и вышел в тамбур. Там его поджидала опергруппа. Поезд проехал ботанический сад и скрылся в туннеле...

В купе неожиданно вместе с Бакрадзе вошли несколько милиционеров.

— Ни с места. Вы арестованы, — сказал Мераб.

В отделении милиции, куда без сопротивления доставили Наумова, следователю принесли отпечатки пальцев, снятые с бутылки, обнаруженной возле трупа Даниловой, которые совпали с оттисками пальцев рук задержанного.

Отпираться было бесполезно. И Наумов признался, что убил Лидию Яковлевну. Он, познакомившись с ней в вагоне, узнал, что едет она за мандаринами, имея при себе крупную сумму денег. Заметил он и золотые часы с браслетом. Вот и решил ограбить. А чтобы замести следы, зверски убил женщину и спрятал труп в густых зарослях.

Как выяснилось, это не первое преступление Наумова, но он умел заметать следы.

...Мераб сидел в кресле и ел фрукты, привезенные из деревни. Жена хлопотала по хозяйству. Неожиданно взгляд его остановился на том месте, где раньше была паутина. Теперь ее не было — Наталья навела порядок в доме.

Раздался телефонный звонок:

— Майор Бакрадзе слушает.

Его срочно вызвали в управление. Кто знает, может еще более запутанное дело ждало его. К этому он был готов.

**А. ТОНОЯН.**

Начало в №№ 38—42.

მებრძოლი გუშაგი — Боевой СТРАЖ

## გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე"

ხელმოწერა ვრცელდება შინაგან საქმეთა ორგანოების და ქვედანაყოფების პირად შემადგენლობაზე (მილიციის, სახანძრო და არასაუწყებო დაცვის, შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების, შს სამინისტროს სასწავლო ქვედანაყოფების) აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სასამართლოების და პროკურატურების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ოპერატიულ-კომკავშირული რაზმეულების, სახანძრო—საგუშაგო დაცვის მუშაკებზე, შს სამინისტროს პენსიონერებზე.

ხელმოწერა საქალაქო, რაიონულ, სახაზო განყოფილებებსა და ქვედანაყოფებში გამოყოფილ გაზეთის საზოგადოებრივი გამავრცელებლების მიერ ფორმდება მხოლოდ „სოიუზპეჩატის" ადგილობრივ განყოფილებებში.

წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

რედაქცია გთხოვთ დროულად ჩაატაროთ ხელმოწერა გაზეთზე — შეავსოთ მისი მკითხველთა რიგები.

გამოცემის ინდექსია—66639. ხელმოწერა გრძელდება ა. წ. 1 ნოემბრამდე.

## ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ»

Подписка проводится среди личного состава органов и подразделений внутренних дел (милиции, пожарной и вневедомственной охраны, ИТУ, учебных подразделений МВД), а также среди работников партийных, советских, профсоюзных и комсомольских органов, суда и прокуратуры, пенсионеров МВД, членов ДНД, добровольного противопожарного общества, общественных пунктов охраны порядка, оперативных комсомольских отрядов, пожарной и пожарно-сторожевой охраны.

Подписка оформляется только местными отделениями агентства «Союзпечать» через общественных распространителей газеты, выделенных в горрайорганах и подразделениях.

Подписная цена на год — 3 руб. 12 коп.

Редакция просит своевременно провести подписку на газету, пополнить ряды её читателей.

Индекс издания 66639. Подписка продолжается до 1 ноября 1988 года.

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.

უე 00952